სააპელაციო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის სააპელაციო
სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატას

მხოლოდ სასამართლოს მოხელისთვის
თბილისის სააპელაციო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
შემოსვლის თარიღი 30 04 19
შემოსვლის დრო
შემოსვლის № 297858
ფურცლების რაოდენობა 223 ფურცელი

აპელანტი: *შენიშვნა-1*

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი / ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*
ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3*	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ. / სამსახურის ტელ. / მობილური	ფაქსი / ელექტრონული ფოსტა

აპელანტის წარმომადგენელი: *შენიშვნა-4*

სოფიო ახალაძე-გულორდავა	თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2
სახელი, გვარი, ადვოკატის საიდი ნომერი / პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ. / სამსახურის ტელ. / მობილური	ფაქსი / ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარე: *შენიშვნა-5*

შოთა ბუჩუკური	ქ. თბილისი, გლდანის 3ა მ/რ, კორპუსი 14, ბ.42
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი / ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ. / სამსახურის ტელ. / მობილური	ფაქსი / ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-7*

	2 99 10 48
სახელი, გვარი / სახლის ტელ.	მობილური / ელექტრონული ფოსტა *შენიშვნა-8*

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

გასაჩივრებული გადაწყვეტილება

შენიშვნა-11

სასამართლოს დასახელება:	თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
განმხილველი მოსამართლე:	ნათია ბუსკაძე
საქმის ნომერი:	3/6055-17
მიღების თარიღი:	2018 წლის 20 დეკემბერი

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:

სრულად ☐

ნაწილობრივ ☒

რომელ ნაწილში?

შენიშვნა-12

საჩივრის მოთხოვნა:

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შოთა ბუჩუკურის ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება (ე.წ „ვირტუალური უარი") და ახალი გადაწყვეტილების მიღებით უარი ეთქვას შოთა ბუჩუკურს სარჩელის დაკმაყოფილებაზე სამინისტროს მიმართ.

შენიშვნა-13

გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები

შენიშვნა-14 *შენიშვნა-15*

1. ფაქტობრივი უსწორობა

მტკიცებულება:
ა.

2. ფაქტობრივი უსწორობა

მტკიცებულება:
ა.

ახალი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-16 *შენიშვნა-17* *შენიშვნა-18*

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

ძიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-19

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- ☐ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- ☐ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
- ☐ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
- ☐ გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
- ☐ გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
- ☒ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
- ☐ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
- ☐ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
- ☐ გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
- ☐ საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიაჩნია, რომ რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონოა, დაუსაბუთებელი და უნდა გაუქმდეს, ვინაიდან სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. ამასთან არასწორი შეფასება მისცა საქმის სამართლებრივ გარემოებას, რაც გვაძლევის იმის საფუძველს, რომ მოვითხოვოთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები

შენიშვნა-20 *შენიშვნა-21*

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შოთა ბუჩუკურის სარჩელი და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ,,ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს" 2017 წლის 10 მაისის N94-04 ბრძანება და სააგენტოს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობისათვის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით. ამავე გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს სამინისტროს მიერ შოთა ბუჩუკურის 2017 წლის 06 ივლისის ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება (ე.წ ,,ვირტუალური უარი").

მიგვაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა და უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის 10 მაისის N94-04 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე 2 პრიმა მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე, გაზიარებულ იქნა შპს ,,ენერგოტრანსის" 2017

წლის 04 მაისის N354 წერილი იმასთან დაკავშირებით, რომ ქსანი სტეფანწმინდის შემაერთებელი 500 კვ. ელ. გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი, პროექტის კონსტრუქციული სქემები და ტექნოლოგიური სქემები, საექსპერტო დასკვნა, 500 კვ. ელექტრო გადამცემი ხაზის სტეფანწმინდას მშენებლობის უბნებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედეგებზე, საექსპერტო დასკვნა 500 კვ. ელექტრო გადამცემი ხაზის სტეფანწმინდას მშენებლობის ფუძე-საძირკვლების და მზიდი კონსტრუქციული ნაწილების საპროექტო დოკუმენტაციაზე, საექსპერტო დასკვნა 500 კვ. ელექტრო გადამცემი ხაზის ქსანი-სტეფანწმინდას ტექნოლოგიურ ნაწილზე და პროექტის ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოადგენდა კომერციულ საიდუმლოებას. ზემოდასახელებლი დოკუმენტაცია სააგენტოს ბრძანებით მიჩნეულ იქნა კომერციულ საიდუმლოებად, შესაბამისად, შოთა ბუჩუკურის მოთხოვნაზე, გაცნობოდა შპს ,,ენერგეტრანსის" 500 კვ-იანი ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ წარმოების მასალებს, ნაწილი დოკუმენტაციის გადაცემაზე, რომელიც კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენდა ეთქვა უარი, ხოლო არაკომერციული ხასიათის დოკუმენტაცია მას გადაეცა.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ძირითადი უფლება კონკრეტიზებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ნ" ქვეპუნქტის თანახმად, საიდუმლო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

საქმის მასალებში წარმოადგენილია შპს ,,ენერგოტრანსის" წერილი, სადაც მითითებულია, რომ დოკუმენტაცია შეიცავს როგორც პერსონალურ მონაცემებს, ასევე პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებას და აღნიშნული დოკუმენტაციის გადაცემა შეზღუდული უნდა იყოს მესამე პირებისათვის. ასევე საქმეში წარმოადგენილია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის 1.12 მუხლის თანახმად, ,,კონსულტანტი (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) ვალდებულია, უზრუნველყოს ყველა იმ დოკუმენტაციის კონფიდენციალურობის

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

დაცვა, რომელიც გადაეცემა მას დამკვეთის და KFW-ს (გერმანიის განვითარების ბანკი) მხრიდან, ასევე აუცილებელია ხელშეკრულებასთან და მის განხორციელებასთან დაკავშირებით არსებული ინფორმაციის და ცოდნის კონფიდენციალურობის დაცვა, მიუხედავად იმისა აღნიშნული დოკუმენტები კონფიდენციალურ დოკუმენტებად არის განსაზღვრული თუ არა". ამდენად, ზემოდასახლებული დოკუმენტაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხზე იმსჯელა ადმინისტრაციულმა ორგანომ და მიიჩნია, რომ სახეზე იყო მისი გასაიდულოების საფუძვლები.

ასევე სასამართლოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება (ე.წ. ,,ვირტუალური უარი"). სასამართლოს ყურადღებას გავამახვილებთ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ი" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, პირს უფლება აქვს საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრულად ან ნაწილობრივ დახურვისას, საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით შოთა ბუჩუკურს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ.

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-22

მოწმე	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
ექსპერტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
სპეციალისტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი

შენიშვნა-23

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.

1.

შენიშვნა-24

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-26

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-27

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარგმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

არა ☒

საჩივრის ფასი — ლარი

შენიშვნა-28

სახელმწიფო ბაჟი — ლარი

შენიშვნა-29

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ ☒ არა ☐

რომელი ნორმა? გათავისულფებულნი ვართ ბაჟის გადახდისგან „ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ ☐ არა ☐

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ ☐ არა ☐

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ ☐ არა ☐

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

შენიშვნა-30

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☐ მორიგების პირობები:

არა ☒ რადგან

შენიშვნა-31

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☐
არა ☒ რადგან

შენიშვნა-32

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
20 წუთზე მეტი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
ა სხდომაში რადგან

შენიშვნა-33

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☐
არა ☒ რადგან

შენიშვნა-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?
ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☐
არა ☒ რადგან

შენიშვნა-35

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-36 *შენიშვნა-37*

დანართი 1: მინდობილობა.
ფურცლების საერთო რაოდენობა: 229

სააპელაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☒	☐
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	☒	☐
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული.	☒	☐
7.	მითითებულია სააპელაციო მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სააპელაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	სააპელაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☒	☐
10.	სააპელაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.		
12.	სააპელაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია.	☒	☐
14.	სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სააპელაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	სააპელაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:	ხელმოწერა	სახელი და გვარი
☐	☐ *პუნქტების ნომრებით*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	სოფიო ახალაძე-გულორდავა	30/04/2019წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

მუხიშვნა-38

KA020106357129718

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 04/7787

24 / სექტემბერი / 2018 წ.

მინდობილობა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სოფიო ახალაძე-გულორდავა უფლებამოსილია სამინისტროს სახელით გასააჩივროს სასამართლო გადაწყვეტილებები (განჩინებები) და ხელი მოაწეროს სამინისტროს სახელით წარსადგენ სააპელაციო, საკასაციო, კერძო საჩივრებსა და საჩივრებს.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია უვადოდ.

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ენუქიძე

KA020159260049818

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის
ბრძანება

№ 1-1/438

18 / სექტემბერი / 2018 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებათა განაწილების შესახებ

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესისშესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის № 70 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის "ო" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებათა განაწილება დანართის შესაბამისად.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებათა განაწილების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 30 აგვისტოს №1-1/421 ბრძანება.

მინისტრი

ხელმოწერილია
მრავალფეროვანი
ელექტრონულად

გიორგი ქობულია

დანართი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებათა განაწილება

მუხლი 1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს და მინისტრის მოადგილეებს შორის ფუნქციები განაწილდეს შემდეგნაირად:

1. მინისტრი - გიორგი ქობულია

სამინისტროს საერთო ხელმძღვანელობასთან ერთად, უშუალოდ ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს მის დაქვემდებარებაში მყოფი შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას:

ა) შიდა აუდიტის დეპარტამენტი;
ბ) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი;
გ) სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი;
დ) სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი;
ე) პროტოკოლის სამსახური;
ვ) სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის ბიურო.

2. *მინისტრის მოადგილე – ირმა ქავთარაძე*

- კოორდინაციას უწევს და უფლებამოსილია სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს მის დაქვემდებარებაში მყოფი შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და კორესპონდენციას:

ა) კანონშემოქმედების დეპარტამენტი;
ბ) ქვეყნის ბრენდის განვითარების დეპარტამენტი;
გ) მდგრადი განვითარების სამმართველო;
დ) სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი;
ე) სსიპ - „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია".

3. მინისტრის მოადგილე – გენადი არველაძე

- კოორდინაციას უწევს და უფლებამოსილია სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს მის დაქვემდებარებაში მყოფი შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და კორესპონდენციას:

ა) საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტი;
ბ) ვაჭრობის განვითარებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტი;
გ) სსიპ - „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო";
დ) სსიპ - „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი";
ე) სსიპ - „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო".

4. მინისტრის მოადგილე – გიორგი ჩერქეზიშვილი

- კოორდინაციას უწევს და უფლებამოსილია სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს მის დაქვემდებარებაში მყოფი შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და კორესპონდენციას:

ა) ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტი;
ბ) კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტი;
გ) სსიპ - „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო";
დ) სსიპ - „აწარმოე საქართველოში";
ე) სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო";
ვ) სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო";
ზ) სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტო";
თ) სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"
ი) სსიპ - „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო";
კ) სსიპ - „წიაღის ეროვნული სააგენტო".

5. მინისტრის მოადგილე – ეკატერინე მიქაბაძე

- კოორდინაციას უწევს და უფლებამოსილია სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს მის დაქვემდებარებაში მყოფი შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და კორესპონდენციას:

ა) ეკონომიკური ანალიზისა და რეფორმების დეპარტამენტი;
ბ) ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი;
გ) კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და საპენსიო რეფორმის დეპარტამენტი
დ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი.

- კოორდინაციას უწევს და უფლებამოსილია სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს. მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე გასაფორმებელ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებს, იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც განთავისუფლებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"

საქართველოს კანონის მოქმედებისგან და თავისი შინაარსით გულისხმობს საქონლის, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოების შესყიდვას.

- ასევე, სამინისტროს სახელით ხელს აწერს შემდეგ დოკუმენტებს:

ა)სახელმწიფო ხაზინაში წარსადგენ ვალდებულებების აღების, დამოწმების დოკუმენტებსა და საგადასახადო დავალებებზე/საგადასახადო მოთხოვნებს;

ბ) სამინისტროს მომსახურე შესაბამის ბანკში წარსადგენ დოკუმენტებს.

6. მინისტრის მოადგილე, საპარლამენტო მდივანი – ნინო ენუქიძე

- „საპარლამენტო მდივნის მესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ასრულებს საპარლამენტო მდივნის უფლება-მოვალეობებს;

- კოორდინაციას უწევს და უფლებამოსილია სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს მის დაქვემდებარებაში მყოფი **იურიდიული დეპარტამენტის** საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და კორესპონდენციას:

- ასევე, სამინისტროს სახელით ხელს აწერს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში წარსადგენ განცხადებებს, სასარჩელო განცხადებებს, სააპელაციო, საკასაციო და კერძო საჩივრებს, სასამართლოებში და სსიპ – „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების ორდერებს;

- სამინისტროს სახელით ხელს აწერს ადმინისტრაციული საჩივრის/განცხადების ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, მათ შორის, ადმინისტრაციული საჩივრის/განცხადების განხილვის ტერიტორიულად მიღებულ გადაწყვეტილებებს, ასევე საჩივრების, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების განცხადებებს;

- **სამინისტროს სახელით ხელს აწერს სასამართლოებში და ადმინისტრაციულ ორგანოებში სამინისტროს სახელით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების** განხორციელების თაობაზე მინდობილობებს.

7. მინისტრის მოადგილე – ნათელა თურნავა

- კოორდინაციას უწევს და უფლებამოსილია სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს მის დაქვემდებარებაში მყოფი შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და კორესპონდენციას:

ა) ენერგეტიკული პოლიტიკის დეპარტამენტი;

ბ) ენერგეტიკული რეფორმებისა და პროექტების დეპარტამენტი;

გ) სსიპ - „წავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო";

დ) სამინისტროს მართვაში არსებული საწარმოები.

- ასევე, სამინისტროს სახელით ხელს აწერს სამინისტროს მართვაში არსებული საწარმოების (აქციების ან/და წილების) პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს და/ან მინდობილობებს.
- უფლებამოსილია სამინისტროს სახელით განახორციელოს სამინისტროს მართვაში არსებული საწარმოების (აქციების ან/და წილების) პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილება.

მუხლი 2. მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების არყოფნის, ან მათ მიერ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, თავისი მოვალეობებისაგან გათავისუფლების გარეშე, შესაბამისი მოადგილის მოვალეობებს ასრულებენ და ერთმანეთს ცვლიან:

ირმა ქავთარაძეს	-	გიორგი ჩერქეზიშვილი
გენადი არველაძეს	-	ეკატერინე მიქაბაძე
ეკატერინე მიქაბაძეს	-	გენადი არველაძე
ნინო ენუქიძეს	-	ეკატერინე მიქაბაძე
ნათელა თურნავას	-	ეკატერინე მიქაბაძე
გიორგი ჩერქეზიშვილს	-	ეკატერინე მიქაბაძე

მუხლი 3. მინისტრის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს გიორგი ჩერქეზიშვილი. მინისტრის და გიორგი ჩერქეზიშვილის ერთდროულად არყოფნის შემთხვევაში, მინისტრის მოვალეობას ასრულებს ეკატერინე მიქაბაძე. მინისტრის, გიორგი ჩერქეზიშვილისა და ეკატერინე მიქაბაძის ერთდროულად არყოფნის შემთხვევაში, მინისტრის მოვალეობას ასრულებს ირმა ქავთარაძე. მინისტრის, გიორგი ჩერქეზიშვილის, ეკატერინე მიქაბაძისა და ირმა ქავთარაძის ერთდროულად არყოფნის შემთხვევაში, მინისტრის მოვალეობას ასრულებს გენადი არველაძე.

KA020126350259519

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის
ბრძანება

№ 1-1/199 **19 / აპრილი / 2019 წ.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებათა განაწილების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №70 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის "ო" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებათა განაწილება დანართის შესაბამისად.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებათა განაწილების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 28 დეკემბრის №1-1/615 ბრძანება.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნათელა თურნავა

18

დანართი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს და მინისტრის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებლებს შორის უფლებამოსილებათა განაწილება

მუხლი 1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს და მინისტრის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებლებს შორის ფუნქციები განაწილდეს შემდეგნაირად:

1. მინისტრი - ნათელა თურნავა

სამინისტროს საერთო ხელმძღვანელობასთან ერთად, უშუალოდ ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს მის დაქვემდებარებაში მყოფი შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას:

ა) შიდა აუდიტის დეპარტამენტი;
ბ) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი;
გ) სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი;
დ) სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი;
ე) პროტოკოლის სამსახური;
ვ)სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის ბიურო;
ზ) სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი;
თ) ენერგეტიკული პოლიტიკის დეპარტამენტი;
ი) ენერგეტიკული რეფორმებისა და პროექტების დეპარტამენტი;
კ) სსიპ - „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“;
ლ) სსიპ - „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“;
მ) სსიპ - „აწარმოე საქართველოში“;
ნ) სსიპ - ,,წიაღის ეროვნული სააგენტო“;
ო) სამინისტროს მართვაში არსებული საწარმოები.

2. მინისტრის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – გენადი არველაძე

- კოორდინაციას უწევს და უფლებამოსილია სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს მის დაქვემდებარებაში მყოფი შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და კორესპონდენციას:

ა) საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტი;
ბ) ვაჭრობის განვითარებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტი;

გ) სსიპ - „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“;
დ) სსიპ - „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“;
ე) სსიპ - „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“.

3. მინისტრის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – ლაშა მიქავა

- კოორდინაციას უწევს და უფლებამოსილია სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს მის დაქვემდებარებაში მყოფი შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და კორესპონდენციას:

ა) კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტი;
ბ) სსიპ - ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“;
გ) სსიპ - „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“.

4. მინისტრის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – აკაკი საღირაშვილი

- კოორდინაციას უწევს და უფლებამოსილია სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს მის დაქვემდებარებაში მყოფი შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და კორესპონდენციას:

ა) ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტი;
ბ) სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“;
გ) სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“;
დ) სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტო“;
ე) სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“.

5. მინისტრის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – ეკატერინე მიქაბაძე

- კოორდინაციას უწევს და უფლებამოსილია სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს მის დაქვემდებარებაში მყოფი შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და კორესპონდენციას:

ა) ეკონომიკური ანალიზისა და რეფორმების დეპარტამენტი;
ბ) ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი;
გ) კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და საპენსიო რეფორმის დეპარტამენტი;

დ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

ე) მდგრადი განვითარების სამმართველო.

- კოორდინაციას უწევს და უფლებამოსილია სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს. მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე გასაფორმებელ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებს, იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც განთავისუფლებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედებისგან და თავისი შინაარსით გულისხმობს საქონლის, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოების შესყიდვას.

- ასევე, სამინისტროს სახელით ხელს აწერს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) სახელმწიფო ხაზინაში წარსადგენ ვალდებულებების აღების, დამოწმების დოკუმენტებსა და საგადასახადო დავალებებზე/საგადასახადო მოთხოვნებს;

ბ) სამინისტროს მომსახურე შესაბამის ბანკში წარსადგენ დოკუმენტებს.

6. მინისტრის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, საპარლამენტო მდივანი – ნინო ენუქიძე

- „საპარლამენტო მდივნის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ასრულებს საპარლამენტო მდივნის უფლება-მოვალეობებს;

- კოორდინაციას უწევს და უფლებამოსილია სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს მის დაქვემდებარებაში მყოფი **იურიდიული დეპარტამენტის** საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და კორესპონდენციას:

- სამინისტროს სახელით ხელს აწერს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში წარსადგენ განცხადებებს, სასარჩელო განცხადებებს, სააპელაციო, საკასაციო, კერძო საჩივრებს და საჩივრებს, სასამართლოებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში სამინისტროს სახელით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე მინდობილობებს, სააღსრულებო ფურცლის ჩაბარების მინდობილობებს და კორესპოდენციას; ასევე, სამინისტროს სახელით ხელს აწერს მითითებული უფლებამოსილების იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომელზე გადანდობის მინდობილობებს.

- სამინისტროს სახელით ხელს აწერს ადმინისტრაციული საჩივრის/განცხადების ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, მათ შორის, ადმინისტრაციული საჩივრის/განცხადების განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებს, ასევე სარჩელის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრის გამოხმობის განცხადებებს.

მუხლი 2. მინისტრის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის, ან მათ მიერ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, თავისი მოვალეობებისაგან გათავისუფლების გარეშე, შესაბამისი მოადგილის მოვალეობებს ასრულებენ და ერთმანეთს ცვლიან:

ლაშა მიქავას	-	ნინო ენუქიძე
გენადი არველაძეს	-	ეკატერინე მიქაბაძე
ეკატერინე მიქაბაძეს	-	გენადი არველაძე
ნინო ენუქიძეს	-	ეკატერინე მიქაბაძე
აკაკი საღირაშვილს	-	ნინო ენუქიძე

მუხლი 3. მინისტრის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს ეკატერინე მიქაბაძე. მინისტრისა და ეკატერინე მიქაბაძის ერთდროულად არყოფნის შემთხვევაში, მინისტრის მოვალეობას ასრულებს გენადი არველაძე. მინისტრის, ეკატერინე მიქაბაძისა და გენადი არველაძის ერთდროულად არყოფნის შემთხვევაში, მინისტრის მოვალეობას ასრულებს ლაშა მიქავა.